საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგების კონცეფცია ქალაქ თბილისის, გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ქალაქ ოზურგეთის, ოზურგეთის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 22 მაისის შუალედური არჩევნებისთვის

1. ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგების ჩატარებას უზრუნველყოფენ სწავლების ცენტრის წარმომადგენლები.

ტრენინგი დაეთმობა საოლქო საარჩევნო კომისიის სრული შეადგენლობის სწავლებას. განხილულ იქნება შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- საარჩევნო პროცესში მონაწილე პირთა რეგისტრაცია;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება, არჩევნების შედეგების შეჯამება;
- განცხადება/საჩივრების შეტანისა და განხილვის წესი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა და პირველი სხდომის ინსტრუქცია (ეპიზოდური ინსცენირება).

განხორციელების პერიოდი - 16 - 19 აპრილი

2. საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერების მომზადება (TOT)

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის სასწავლო პროგრამის განხორციელების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა ბაზიდან შეირჩა 8 ტრენერი, რომლებიც სწავლების ცენტრში გაივლიან საარჩევნო კანონმდებლობასა და ტრენერის უნარ-ჩვევებთან დაკავშირებულ მოსამზადებელ კურსს.

განხორციელების პერიოდი - 25 - 27 აპრილი

3. ტრენინგი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

I ეტაპზე საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარებენ ინსტრუქტაჟს საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე ხელმძღვანელი პირების არჩევის წესსთან დაკავშირებით და გადასცემენ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულ სასწავლო ხასიათის ინსტრუქციას.

განხორციელების პერიოდი - 16 – 19 აპრილი

II ეტაპი დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შეადგენლობის (13 წევრი) სწავლებას. განხილულ იქნება შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში (ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების წესი);

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს (საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება);
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები.

განხორციელების პერიოდი - 5 – 8 მაისი

III ეტაპი დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანის სწავლებას. განხილულ იქნება შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები (მათ შორის, საარჩევნო დოკუმენტაციასთან მუშაობა, შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესი);
- კენჭიყრის დღის განხცადებები/საჩივრები.

განხორციელების პერიოდი - 10 – 12 მაისი

IV ეტაპი დაეთმობა კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებას. სწავლების ცენრტის ტრენერები და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები, საარჩევნო უბნების განთავსების ადგილებზე, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარებენ ინსტრუქტაჟს, რომლის შემდეგ კომისიის წევრები პრაქტიკულად განახორციელებენ კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებას (ეპიზოდური ინსცენირება ითვალისწინებს კენჭისყრის დღის დილის 07:00 საათიდან - 08:00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებას).

განხორციელების პერიოდი - 14 – 18 მაისი

დამატებითი ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიის შეცვლილი წევრებისათვის - საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა გამოწვევის ვადების ამოწურვის შემდგომ გათვალისწინებულია დამატებითი ტრენინგების ჩატარება საუბნო საარჩევნო კომისიების შეცვლილი (ახალი) წევრებისათვის.

განხილულ იქნა შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს;
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები.

განხორციელების პერიოდი - 13 მაისი

<u>4. სასწავლო მასალები და მეთოდოლოგია</u>

საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა პროცედურული ცოდნის გაღრმავების მიზნით, ტრენინგებისთვის შემუშავებული სასწავლო მასალა მოიცავს: სახელმძღვანელო ინსტრუქციებს, პრაქტიკული სავარჯიშოების კრებულებს, ტესტ-კითხვარებს, ელექტრონულ სასწავლო პროგრამებს და სასწავლო ფილმს „კენჭისყრის დღის პროცედურები“. ტრენინგზე გამოიყენება კომბინირებული მეთოდოლოგია (ვერბალური, პრაქტიკული, ინტერაქტიული და როლური).